

**რედაქცია:** სოლოლაკზე, სერ-გიევს ქუჩაზე, ივ. ამირაგოვის სახლში, № 8.

**კანტორა რედაქციისა:** სერ-გიევს ქუჩაზე, ივ. ამირაგოვის სახლში, № 8.

**ხელის-მოწერა** მიიღება კანტორაში. ბარეზე მცხოვრებთათვის: ВЪ Типографш. ВЪ редакшю газ. „Дроща“.

**გაზეთის უსანი:** მთელის წლი-სა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ყოველ დღე ორგაბათს გარდა

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათი

**განცხადება:** მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

**უსანი განცხადებისა:** დიდი ასო-ებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით ცტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის სიცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

**რედაქციას უფლება** აქვს გაახ-წოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

## ტელეგრაფები

### ბრძოლის ველიდან

(მფიციალური)

18 იანვარს შობულეთის ატრიალი მიადგა სიხის-ძირზედ გამაგრებულის მტრის მარჯვენა და შუა მხარს. ლენერალის შეღებმეტიევის ჯარმა აიღო იერი-შით ერთი ნაწილი სამების და ამის ახლო მდებარე მეორე მთისა. შუა აღ-გილს კი ჩვენი ჯარების იერიში კარგათ ვერ წავიდა, რადგან მდ. მინტრიშზე გადას-ლის დროს დაბრკოლება მოგვეცა მტრი-საგან, რომელმანც საშინლად დაგვიშინ-ნა ტრანშეებიდან ტყვი-ყუმბარა.

მტერს ბევრად უფრო მომეტებული ჯარი აღმოუჩნდა, ვინემ ჩვენ გვეგონა.

2 საათზე ჩვენი ჯარები ისევ თავის ძველს პოზიციებზე დაბრუნდნენ ხუც-შაბანზე.

ჩვენის მხრით 20 აფიცურია მოკლუ-ლი და დაჭრილი და 600 სალდათი და მილიციონერი. ლენერალი შეღებმეტიე-ვი, რომელიც ბრძოლის დროს მძიმედ დაჭრილი იყო თავში, მოკვდა ამ და-ჭრილობისაგან.

## ოქის აგებები

### აზიის ბრძოლის ველიდან

**ალექსანდრპოლი,** 15 იანვარს. („პროვინცია“ კორესპონდენცია). ამას წინათ გაცნობეთ, რომ ციხის ასაღები ჩვენი არტილერია ემზადება 15 ამ იანვრი-სათვის გამგზავნებას შარსიდგან არზრუ-მისაკენ.

მა არტილერია აწ სრულებით მზათ არის, ისე რომ ერთი ბრძანების მეტი არა უნდა-რა.

✓ მაგრამ, ამბობენ, მთავრობის განკარ-გულებით, გამგზავრება მისი არზრუმი-საკენ დროებით გადასდევს.

იქმნება მიზეზად ამისა იყოს ის, რომ ა) არზრუმის მცხოვრებნი, შევიწრთე-ბულნი ყოველის მხრით, როგორც ამბო-ბენ, დღე-დღეზე აპრობენ ქალაქის და-თმობას და დამორჩილებას, და ბ) ამ ქა-მად აქ მუდამ დღე ლაპარაკობენ და თვით გაზეთებშიაც დაიწყეს წერა ჯერ დროებით მებრძოლთ მორიგებაზედ და მერმე იქნება სრულიად შერიგდნენო. მაშა სადამე ამ პირობებით დაძვრას და გამგზავრებას შემოხსენესულ არტილლე-

რიისას შარსიდგან არზრუმისაკენ არ ექმნება მნიშვნელობა.

მათქვით, რომ დროებით მორიგებამ-დინ არზრუმიც დაგვემორჩილოს და, რომელიმე მიზეზის გამო, არ მოხდეს სრული შერიგება მებრძოლთა შორის, მაშინ, უეჭველია, როგორც ამბობენ, ეს არტილერია თუ სრული კომპლექ-ტით არა, რამდენიმე ნაწილი მაინც გაიგზავნება ბათუმისაკენ.

ამ ქამად აქ ალექსანდრპოლში, დი-დი ყინვებია, 18-20 გრადუსამდინ.

სამ კვირაზე მეტი იქმნება, რაც ფაე-ტონების ნაცვლად მარხილები მუშაო-ბენ. შა მარხილები, როგორც ჰსჩანს აქაურ მცხოვრებლების სიტყვიდამ, არ ნახულა აქ არაოდეს და არც სხვა დროს წლებანდელისთანა ზამთარი გაუგონიათ აქ.

ლაპარაკი და წერვა გაზეთებში მებრ-ძოლთ მორიგებაზედ, როგორც ეტყობა, ძალიან აღონებს აქაურ ვაჭრებსა, მეტა-დრე მათ, რომელთაც აულიათ კონტრა-ქტებით მალაზიები, დუქნები და სხვანა-ირი ფოდრათები მომავალ შემოდგომის ანუ კიდე გვიან, ერთის, ანუ ორის წლის ვადით. ამის გამო არ იციან რა ჰქმნან. მაგრამ ბევრნი-კი ანუგეშებენ ერთმანერთს და ეუბნებიან: „შიქრი არ არის! ლმერთი მოწყალეა, იქმნება კი-დედე გავრძელდეს ეს ჩვენი ვაჭრობა ომიანობის შემდეგაცაო!“

ბ. ზ—ძე

არზრუმელი კორესპონდენტი შენის „Politische Correspondenz“-ისა ამ სიტყვე-ბით აგვიწერს არზრუმის მდგომარეო-ბას:

„უეჭველია, რომ არზრუმი ამ რამ-დენიმე დღის განმავლობაში უნდა და-ემორჩილოს რუსებს. მართალია, როცა ლენ. ბეიმანმა მისცა არზრუმის გარნი-ზონის უფროსს იზმაილ-ჰაკი-ფაშას წი-ნადადება, რომ ქალაქი დაგვითმეთო, ამან და არზრუმის მცხოვრებლებმა მხნე პასუხი გამოუგზავნეს — „სანამ ლუკმა-პური გავაჩნია და ერთი თო-ფის-სროლა წამალი, მანამ ჩვენ დამო-ჩილებას ნუ მოვლითო“. მაგრამ ეს მხოლოდ სიტყვებია. საქმით კი არზრუ-მი ახლა ისეთს გაჭირებულ მდგომარე-ობაშია ჩავარდნილი, რომ ძალა-უნებუ-რად უნდა დემორჩილოს მტერს.

„ზოგიერთი საგნები, როგორც მაგა-ლითად: სანთელი, შაქარი, წვანილი სუ-ლობით აღარ იშოვება; ხორბალი აქვთ კიდე; მაგრამ ისედაც ფასად იყიდება,

რომ მხოლოდ შეძლებულები ჰყიდუ-ლობენ. 12,000 კაცი თითქმის ულუკმა-პურით დახეტიალობს ქუჩა-ქუჩა და მოწყალეობას თხოულობს. ამერიკის მის-სიონერი ძალიან ეხმარება ხალხს, მაგ-რამ რას იქს კაცი ამ დროს, როცა საქმილ-სასმელი არ იზოვება?“

„შარის (გარნიზონის) მდგომარეობაც ისეთია, როგორც მცხოვრებლებისა: სურსათის ნაკლებობა და ავითმყო-ფობა.“

„Presse“-ის კორესპონდენტი იწერე-ბა ამ გაზეთში 3 იანვარს:

„ლენ. კომაროვი თავის ატრიალით არდანუჯიდან პრთინის ასაღებად გაე-ლაშქრა. თუმცა ეს ქალაქი, როგორც ამბობენ, კარგათ არის გამაგრებული, მა-გრამ იმის აღება რუსებს არ გაუჭირდე-ბათ, თუ მანამ მორიგება არ მოხდა და ამინდმა არ დააბრკოლათ. როცა არ-თინის ააღებენ, მაშინ რუსები ამ ქალა-ქისა, არდანუჯისა და არტანისაგან ცალკე მაზრას შეადგენენ, რომლის უფ-როსათაც პოლკ. მლენნიკოვი დაინი-შნება.“

ამავე გაზეთში მოყვანილია შემდეგი ცნობები შესახებ რიონის (შობულეთის) ატრიალისა:

„ღარწმუნებით ამბობენ, რომ შობუ-ლეთის ატრიალი ამ მოკლე ხანში გაი-წევს წინ იმ განზრახვით, რომ ბათუმის წინა ციხეები (ძვირიკე და სიხის-ძირი) აიღოს და შემდეგ თვითონ ამ ქალაქ-საც მიადგეს ხმელეთით.

რუსის ჯარები აქ ძალიან დიდს გა-ჭირებაში არიან სიცივისაგან, და ამის გამო აქეთკენ და არზრუმისაკენ სამხე-დრო მთავრობამ 6,000 საზამთრო კა-რაფი გაგზავნა ჯარებისათვის.“

### ჰეროპის ბრძოლის ველიდან

გაზეთის „Times“-ის კორესპონდენ-ტი გვაცნობებს, რომ გუშინ რუსიუკი-დამ და მიდინილამ მოვიდნენ რუსის მთავარ ძვარტირაში მსამალოს პარლა-მენტორები, როგორც ამბობენ, იმ გან-ზრახვით, რომ დაუთმონ რუსებს ეს ცი-ხე-ქალაქები, თუ იმათ გარნიზონებს თა-ვისუფლად წასვლის უფლება მიეცემაო.

ბუზარესტიდამ იწერებიან, აქ გამოვი-და მთავრობის ბრძანებაო, რომ კიდევ ახალი ჯარი უნდა მოგროვდესო. ამ ბრძანების გამოცხადებამ დიდი ღელვა

მოახდინა ხალხში, რადგან ყველა მოუთმენელად მტერთან შეერიგებას მოელოდა.

შენის გაზეთს „Neue Freie Presse“-ში იწერებთან ბელგრადიდან 4 იანვარს:

სერბიის ჯარები ნიშიდამ პრიზრენისაკენ გაგზავნეს; აქ ამბობენ, რომ აღდგენ თუ არა სერბიელები ამ უკანასკნელ ქალაქს, იმ წამსვე მთავარი მილანი სერბიის კოროლის წოდებას მიიღებ-სო.

პოლკოვნიკი ხორვატოვიჩი თავის ატრიადით ღენ. ბურკოს კორპუსს უნდა შეუერთდეს ადრიანოპოლში. პოლკ. ბენიციკი ხელახლად წაართვა მსხველპელებს ტურშუმლევ და 3,000 კაცი დაატყვევა ამ ქალაქში.

# საქართველო

## დღიური

\* დღეს არ ჩამოუღრჩიათ ის ორი ძმა შუხანოევი, რომელნიც პოლიციის სალდათის მოკვლისათვის სამხედრო სასამართლოს გადაწყვეტილებით დღეს უნდა ჩამოეღრჩიათ. ამბობენ, ერთი კვირის ვადა კიდევ მისცეს, რადგან გატეხასა და დანარჩენი ამხანაგების გამოჩენას აპირებენო.

\* ჩვენ შევიტყუეთ, რომ იმ 500 მანეთს გარდა, რომელიც პატივცემულ ალექსანდრე ეისკოპოსს შეუწირავს ქართული საეკლესიო ვალობის ნოტებზე დასაწყობად, შეუწირავს კიდევ: 1,000 მანეთი ოსვილისის სასულიერო სემინა-

# ფაქტობრივი

## ჩაპული ფაქტობრივი

მარ ერთი ამბის მოყვარე კაცი, გაგონებაც მიყვარს და ლაპარაკიც არ მეზარება, და თუ საჭირო იქნება, წერასაც არ შეუშინდება.

მე რომ დღეს ხიდის-ძარში ამბებს ვესწრები, ყოველ დღე ვსწირამ ღმერთს მადლობასა, რომ ჩემთვის მას საკუთრად არ მოუცია-რა, არც მიწა და არც წყალი, არც მთა და არც ბარი, არც სასამართლოში დამტკიცებული საბუთები და არც არაყის გამოსახდელი ქვაბები.

დიდით სამწუხაროთ არ მიმაჩნია, რადგანაც ასე ცარიელი კაცი ვარ, რომ არ მყავს არც საბრაგონო ცხენი და არც უბრაგონო შვილი.

მმადლობ ღმერთსა, რომ ქურბში ღვინო ბევრი არ მიფუჭდება, რომ სიმინდი და პური გაუყიდველი ბედელში ეგრი არ მიჩნება, რომ ფულის სარგებელი არავისხედ არ მეკარგება, რომ სულებში და კანცელარიებში თრევა და

რიის სასარგებლოდ, 300 მანეთი ამავე სემინარიის შავირდების ბიბლიოთეკისათვის და 200 რუსული სამღვთო-წერილის წიგნების ქართულს ენაზე სათარგმნელად.

\* სომხურს გაზეთს „მშაკში“ იწერებთან მუთაისიდან, რომ აქაურს სომხების შკოლაში ამ ქამად ოც-და-ათი ქალი და ვაჟი სწავლობსო.

\* ჩვენ მოგვივიდა ახალციხიდან შემდეგი ამბავი:

„არა ვკანებ პარიჟში და მთელს საფრანგეთში ისეთი ხალხის მოძრაობა, ყაყანი და ალიაქოთი ყოფილიყოს მარშალ მაკ-მაქონის მოქმედებაზე და იმის მომხრეების გადაყენებ-გადმოყენებაზე, რაც დიდი ხნის აქეთა ახალციხის კლუბის წევრებშია ყაყანი და ერთი ალიაქოთი თავ-მჯდომარის ამორჩევაზე და სხვათა შორის ერთი უკმაყოფილების გარდაწყვეტაზე.“

„მა უკმაყოფილება შესდგება ორი მოწინავე და მოწინააღმდეგე პარტიებისაგან (სახელწოდებულ „თავის უფალი“ და „უთავისუფლო“ პარტია). ამ უკანასკნელებს სურდათ, რომ კლუბიდან რამოდენიმე პირნი დაითხოვათ და აღეკრძალათ უფლება კლუბში გამოცხადებისა იმისთანა მიზეზით, რომლის უსაფუძვლობაზედ თითონვე დარწმუნებულნი არიან, და თავიანთი მოწინააღმდეგე პარტიისათვის საბუთიანათ ვერ გაუბედნიანთ, არა თუ ქალღმერთი, არამედ სიტყვიერადაც კრებაში ვერ უხსენებიათ მიზეზი და ვერ დაუსახელებიათ ის პირები, რომელთაც გამოარიცხვას თხოვლობენ, იმისათვის რომ ბოლოს საქმემ რომ საჩივარზე მიადგინოს, სამართ-

ადვოკატებისაგან გატყავება და მოტყვილება არ მეშინება.

მმადლობ ღმერთსა, რომ პირ-ცეცხლიანს და პარ-სისხლიანს ჯერ არსად არ გაუცენივარ, და არც დამპირებია მე ჯერ მისი მოკითხვა არც ფულითა, არც ძროხითა, არც ხბოთა, არც თოქნითა, არც ერბოთი და კარაქითა, არც შამხით და ხაჭაპურებითა...“

მოგზაუცი; ბევრი მიცოცხლია, ცოტაც დამჩნენია... უკვლას მომძებნელი სიკვდილი ერთხელ მეც მომძებნის და მეც გამათხრევიანებს ჩემს სიგძე-სიგანე მიწასა... მანამდე ვარ და დავრჩები ამ ჩემს ხიდის-ძარში, — დილას ძვაცხუტში, შუადღის წესსში, საღამოს ხიმში და მუდამ კი ხიდის-ძარში.

მართებ კაი სამყოფია ეს ხიდის-ძარი ჩემისთანა კაცისათვის! ეს არის ერთი კლდეანი მთა, თითქო განგებ შუაზე გახეთქილი და გაბობილი რიონის გული-სათვისაო. აქ, ამ ადგილს, ორ ციკაბ მაღალ კლდეს შუა ვიწრო სიღრმეში მიიზბის რიონი, და მიიზბის ისე სიჩქარით, რომ ასე ჰგონია ეჩქარება პირ-ცეცხლიანის ამბები მუთაისში მალე

ლის აღმადგენელი სათანელი შემოგვავსებდაო. ამითი გათამამებულთა, თავისუფალი პარტია“ ყოველთვის, მოგებული გიმოდის ბოძოლის ეფლიდან...“

„მოწინააღმდეგე პარტიის ერთმა მწვერთავანმა ასე დაამყარა კრების დროს თავისი გარდაწყვეტილება: რადგანაც საცალკეოთ და ვერც ერთად გამოგვიანკარებია იმ პირთა სახელები, ყველას ნება გვქონდეს, იმათა სახელები პატარა ქალღმერთს სათითაოთ დაენიშნოთ და ისიც — თუ ვის გვიღა ისინი და ვის არა.“

„ამნაირ გონიერ წინადადებასა და აზრს ვინ არ დაეთანხმებოდა. მხოლოდ, საუბედუროთ, შემდეგ ამ აზრის სისრულეში მოყვანისა კიდევ დამარცხებულები გამოვიდნენ მოწინავე პარტიისანი...“

„მართი სიტყვით ახალციხელ კლუბში დიდი ანბავი, დიდი განხეთქილება... ისე დიდი რომ სისანის-ხელო იქმნება... როგორ გადაწყდება ეს ბრძოლა, რასაკვირველია, შეგატყობინებთ...“

## „დროების“ კორამსკონდენსია

მ. ახალქალაქში, 13 იანვარს. „დროების“ № 3-ში ორიალეთის პრისტავზედ (შალამქაროვზედ) არის დაბეჭდილი, რომ მას წალკაში მოუკრფვია დაჭრილებსათვის 300 მანეთზე მეტი და 40 მანეთი უჩვენებია.

ამისთანა მოქმედება არ არის ჩვენთვის გასაკვირვებელი: მომეტებული ნაწილი წალკის პრისტავები „ჩაჯიბას“ იყვანენ დაჩეულები, რადგანაც ორიალეთის საპრისტაო ავანსკების ბუღეა.

ჩაიტანოსო, მეტადრე ის ამბავის ყოველდღიური მეცნიერი მისი აღმოჩენა, რომ რაჭველი გლეხი-კაცი ჯაჭვიანი და უჯაჭვო არის მამალი ძალოს და დედალი ვირის და არა მაიმუნისა მთამამაუკნისო, როგორც ამტკაცებს გიდაც ერთი ინგლისელი მსწავლულიო.

აქ, ხიდის-ძარში, რაონზედ, არის ხიდი, და ამ ხიდზე ერთდგება მუთაისიდან მომავალი ორი მთავარი გზა, ერთი რომელიც მოდის რიონის პირს ლეჩხუმზედ და მეორე რომელიც გადმოვიდის ნაქვრალაზედ.

აქვე ხიდის-ძართან არის დუქანი, დუქანში არის სპირტი, ღვინო, გამოუღვევლი მგზავრი; მთქმელი და გამგონი, მსმელი და დამსხმელი, მცველი და მტაცველი, თვადი და აზნაური, გლეხი და ნაყმევი, იმერელი და გურული, რაჭველი და ქართველი, რუსი და სომეხი... მართი სიტყვით, ამ ხიდის-ძარში, ამ დუქანში ირევა და გროვდება მთელი რაქის ამბავი, ეს ამბავიც მე მიყვარს და ჩემი ცხოვრებაც აქ არის.

ხომ ასე გაფხეკილი და გამხმრი კაცი

არამ თუ მარტო ორიალეთის პრის-ტავს უნდოდა კანტროლი, არამედ სხვა ახალ-შეძინებულ მახრებშიაც, ესე იგი, ჩილდირისა და არტაანისაც, სადაც ხაზინის სასარგებლოდ ამ ბაზრების უმფროსები აკრეფინებენ: პურისა, ქერისა და საქონლის ბაჰრას (დალას) მსმალს კანონზედ სომხებს მაკირტიჩებს, მღანესებს, მასპარებს და სხვა ამათონა მეღუქნებს.

ჩილდირის მახრა ყველა მახრებზედ პურის მოსავლით მდიდარია, თუ ეს ჩილდირის მახრა არ იყოს ახალქალაქის მახრის მომიჯნავე, აქამდის არ აქაური ფოდრიდნიკები დაკოტრდებოდნენ. რასაკვირველია, ზემოხსენებულს მახრის უმფროსის ამისთანა ლალის მომკრებ მეღუქნეებსაც პარგი შემოსავალი უნდა ჰქონდეთ, როგორც ნამდვილად შეტყობილი მაქვს; რომელ სოფლებშიაც კი გავივლი ხოლომე, გლეხი ხალხი თუ სხვა ვაჭრები იძახიან: „ჩილდირში № გაიმსო, გაიმსო კაცო, ხაზინა შეჭკობა!“

თუმცა ამ მახრაში მთავრობამ საჩქაროთ გამსროლი ომის ველზედ მოტაცებული თოფების მოკრების განკარგულება მოახდინა, მაგრამ ძალიან კარგი იქმნება და ვალდებულ ვრაც გამოვატხადო, რომ მთავრობამ ყურადღება მიექციოს და კანტროლი დანიშნოს ამ ახალ მახრებში—რა არის მიღებული ლალა გლეხებისაგან და ან რამდენი ლალა ჩაუბარებიათ მალაზიებში.

მარწმუნებთ, შალამქაროვისთანა უფროსებს სხვებსაც აღმოაჩინენ. მხოლოდ კანტროლი რომ დანიშნოს, უფრო კარგი იქმნება ახალქალაქადგან, ვისმე კეთილ-სენიდიისიან მარაქამებში გამოცდილს ჩინოვიქს დანიშნავდნენ...

ჯავახი

დარიბაჰა \*)

სოფლებში მცხოვრებლებისა იმ ავათყოფობის წინააღმდეგ, რომელსაც რუსები ეძახიან „ЧУМА РОГАТОГО СКОТА“, ქართველი „საქონლის ჭირს“ და სომხურათ და თათრები „ოზარ.“

რას უნდა მორიდება, რომ პატრონმა არ შეყაროს თავის საქონელს ჭირი?

ა). თვითეული პატრონი მოვალეა ეცადოს შეიტყოს: სად-არის ახლო-მახლო გაჩენილი საქონლის ჭირი და იხმაროს ყველა ღონისძიება, არამთუ არ წაეიდეს იმ ადგილებში თავის საქონლით, არამედ არც იმ ადგილებთან მოუშოს და გაატაროს თავის სოფელში საქონელი. რომ სოფლებებმა ეს საშუალება კარგათ აასრულონ, ამაზე სასტიკი მხედველობა უნდა იქონიონ სოფლის მამასახლისებმა (სტ. 1714 XIII ტ. სამედ. პოლიციურ ღებულობისა).

ბ). როდესაც ვისმე საჭიროების გამო მოუხდება საქონლით გავლა იმისთანა ალაგებში, სადაც ჭირია გაჩენილი, იმ ალაგებში არ უნდა დააყენონ საძოვრად, წყლის დასაღვავათ და არც-რა სხვა რაიმე საჭიროებისათვის, უნდა ეცადოს, რაც

\*) „დროება“, № 13.

ვარ, მაგრამ შინც გული მეწვის ამ ჩემ მეზობლებზე, ამ ჩემ მოძმე ხიდის-კარგო რაჭველებზე.

რა არ აწუნებთ ამით! ღამე დათვი, დღით ქოჩი; პირ-ცეცხლიანი, ვილაც გადმოთრეული ახალციხელი—კვერცხის ყლაპია, არაყის ქვაბების საქმე, ყალბი ასიგნაციის ამბავი, მთების ჩამორთმევა, ნაყიდი ადგილების სახაზინოდ დაქვრა, ფოშტის ფული, ტყის ფული, ბატონის გარდასახადი, დათვების ბეგარა და ღაბით მათი ყარაულობა, პრაგონის ცხენი, გზაში მუშაობა, შკოლის უჩიტლის ფული, სოფლის მწერლის ჯამაგირი, კანცელარია, მამასახლისი კანდიდატი და პოპოშნიკითა, სულელები, მღვდლის ბეგარა, სიკვდილის და საფლავის ბეგარა, ქელები ქორწილის ხარჯი და უბედურება, ტყის უსტაბაში—მულამ ღუქანში, ტყის მცველ—ყველას მცარცველი, საქონლის ჭირი, თურქული, ციმბირული... შინ, ჩამოთვლის ამ საბრალო ხიდის—ძარის რაჭველების დარდებსა?!

შეადლობ ღმერთსა, რომ მე ასე თავისუფალი ვარ ამდენი პატივისცემისაგან, ამდენ ქონებისაგან, ამდენ კურტ-

ნათ საზიდავ ტვირთისაგან!

ღველივარ ერთი მოხუცებული; პირში მიჭირაშს ყალიონი; ყველას კარი ჩემთვის ღიაა, თუ სანლისა, თუ ბელლისა, თუ მარნისა და თუ თავიანთი გულისა...

ბევრი დარდი მისმენია, ბევრი რამ მინახამს ამ ჩვენ რაჭაში; ბევრი ბოროტი რამ მომხდარა აქ ეშმაკისაგან ანგელოზის სახელითა, როდესაც ამ ეშმაკს დაურწმუნებია ყველა, რომ ანგელოზმა ასე ბრძანაო.. ბევრი ჭკუის სასწავლებელი, მგერი ცეცხლის მოსაკიდებელი, ბევრი ტენის ამადუღებელი ამბები ყოფილა აქ და არის ახლაც... მაგრამ რა! სულ წაუღია ხან ნიავსა ნაქერალის წვერამდინ და იქვე დაუტოვებია; ხან წაუღია რიონსა და მუთაისში ჩასვლამდის ისევ რაჭაში მიუტოვებია სადმე რიყზე.

თუმცა აქედამ მუთაისამდე ორი გატყებნილი გზა მიდის, მაგრამ ჩვენმა ამბავმა იქამდი ვერ მიახწია. იქნება შენმა ფურცელმა, ყველგან დამავალო „დროება“; აზოენინოს ჩვენს ამბებსა ის გზა, რომლითაც გადაიარონ მათ მშვიდო-

შვიდლება მალე გაიაროს ის ალაგები (1724 სტ. იმავე ტომისა და დედგინებისა.)

ბ). ღამე, აგრეთვე დასასუსტებლად, არ უნდა დასდგნენ იმისთანა ღუქნებში, რომლის ახლოც დგანან, ანუ იდგნენ ურმები ჭირიანი საქონლით.

ღ). შირიანობის დროს ერთმა სოფელმა მეორე სოფელში არ უნდა გაგზავნოს საქონელი სახნავად ანუ სხვაგვარ სამუშაოდ და არც თითონ მოიყვანოს სამუშაოთ საქონელი იმ სოფლიდგან რომელშიაც ჭირია.

მ). იმ ადგილებიდგან, საცა ავათყოფობაა, არ უნდა იყიდონ საქონელი თუ კიდევ მოხდა და იყიდის ვინმე საქონელს, რომელსაც ავათყოფობა რაცეტყობა, მაგრამ უცხო ადგილს კი, როგორც მაგ. ქალაქში, იმან მაშინვე არ უნდა გაუჩიოს ამისთანა საქონელი თავის ანუ საზოგადო ნახირში, როდესაც მორეკს სოფელში. ორიოდ კვირა უნდა შეინახოს ცალკე, რადგანაც ხშირად მოხდება ხოლომე, რომ ჭირი, თუმცა უდგას საქონელს გვამში, მაგრამ ორიოდ კვირას თავს არ გამოიჩინოს (1724 სტ. იმავე ტომისა და დედგინებისა).

პ). არ უნდა იყიდონ არც ტყავი, არც ხორცი და არც ბალანი იმ ადგილებში, რომლებშიაც საქონელი ავათყოფობს.

ზ). არ უნდა მისცენ ნება სოფლის მეღუქნეს არამთუ ავათ გამხდარი საქონლის ყიდვისა, არამედ სრულიად უნდა აუკრძალონ საკლავი საქონლის ყიდვა იმ ადგილებიდგან, სადაც ჭირია (იგივე სტ.).

ც). არაოდეს, მაშინაცკი, როდესაც

ბით რაჭის სამზღვარი და უამბონ ჩვენი საზბარი თუ ჩვენ ახლო მეზობლებს—მუთათურებსა და თუ სხვა ჩვენ მოძმეებს—შენი ფურცლების მკითხველებსა, და იქნება მასთანვე შენი მუშაძველობით შეატყობინოს ვინმემ იმ უცხო ქვეყნის უცხო კაცსა, რომელიც ამტიცებს კაცის მაიმუნადამ შთამომავლობასა, რომ ჩვენი რაჭის მეცნიერი პირ-ცეცხლიან—პირ-სისხლიანი თანახმა არ არის მისი აზრისა, რომ რაჭის გლეხებიც მაიმუნის შთამომავლები იყვნენ და მალე აპირებს გამოსცეს თავისი მეცნიური აღმოჩენა, რომ ეს რაჭის გლეხ-კაცობა, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, არის შთამომავლობა მამალ-ძაღლისა და დედალ-ვირისაო...

ამბობენ, ამ უცხო აღმოჩენისთვის მას ბევრი უშრომიო ამ ათის წლის განმავლობაში; აქ, რაჭაში, ბევრი გლეხ-კაცისთვის ულვაშები დაუგლეჯიაო და სამტიცებლად თავის მეცნიერ აღმოჩენისთვისაო და ბევრი მასალაც შეუგროვებიაო თავის კეთილ-მდგომიარობისთვისაო...

შობერია ხიდისკარგლი

საქონლის ავთმყოფობა არ ირის, არ უნდა მეღუქნებებს მისცენ ნება, რომ იმ ქუჩებში, ანუ იმისთანა ადგილებში, სადაც მსხვილი რქიანი საქონელი, ცხვრები და თხები გაივლიან ხოლმე, იმათ დაკლან საქლავი და გამოჰფინონ ტყავები გასაშრობათ.

მ). როდესაც მიაქვთ სამხედრო, ანუ სხვა რამე ბარგი, მაშინ საქონელი არ უნდა დააყენოს ურმებს ახლო, როდესაც ბარგსა სკლიან, არამედ უნდა დააყენონ მოშორებით იმ საქონლიდამ, რომელმაც ის ბარგი მოიტანა. ეს წესი განსაკუთრებით მაშინ უნდა დაიცვან მტკაცეთ, როდესაც ეს ბარგი მოიტანეს, ანუ გამოატარეს იმისთანა ადგილებში, სადაც საქონლის ავთმყოფობაა.

მუ ვინიცობაა რომელიმე სოფელი არ გაფრთხილდა და ჭირი გამოჩნდა, მაშინ თვითუფი ამ სოფლის მცხოვრები მოვალეა მტკაცედ აღასრულონ შემდეგი საშუალებანი, რომ რაც შეიძლება ჩქარა მოსპონ სოფელში ეს სენი.

(ზაგრძელება)

**ახალი ტაჭა ბირჟის ივმოსჩიკებისა**

ჭალაქის რჩევამ მიიღო მხედველობა ში ქერის და თივის სიძვირე და ამის გამო ამ პირველ ქრისტეშობისთვიდამ დანიშნა შემდეგი დროებითი ტაქსა:

	ჭაეტონის	დროჟკის
მართი გზა . . . . .	40 კაბ.	25 კაბ.
საათი . . . . .	80 „	55 „
ჭალაქიდან—ნავთლულს	80 „	50 „
— მუშტიადამდინ —	60 „	45 „
— მუშტ. და უკან 1/2		
საათი გაჩერება 1 მან. 20	„	90 „
რკ. გზიდან ნავთ.—2 „	—	1 მან. 50 „
— დმოქნამდინ — 1 „	50 „	1 „
— ჭალაქ. ყველგან 1 „	—	70 „
რკ. გზამდინ ქალაქ.— „	80 „	50 „

— ნავთლულიდამ 1 „ 50 „ 1 „ —  
 რქინის გზამდინ და  
 უკან — — — 1 „ 30 „ — 90 „  
 შენი შენვა). მრ ფუთამდინ ბოგაქისათვის იზვოსჩიკს არ შეუძლია, რომ რამე გამოართვას ვისმე.

შენი შენვა ბ). ნაშუალანევის ტაქსა იგივე დარჩება, რაც ახლა არის ე. ი. ჭაიტონის—ერთი გზა—60 კაბ., საათის 1 მან. და 20 კაბ., დროჟკის—40 კაბ. და საათის—80 კაბ.

**თფილისის სამკურნალო**

(4-ს აპრილის სახსოვრად)

მრეენის მადანზე, წინამძღვაროვის სახლებში ავთმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილს 8 საათიდან დილსვე 10 საათამდინ.

მ რ შ ა ბ ა თ ს ; ექიმი მინკევიჩი—ხირურგიულ ავთმყოფობისათვის, ზარალევიჩი და ლისიცივი—შინაგანი ავთმყოფობისათვის.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს : შერმიშევი და მაკაროვი—შინაგანი ავთმყოფობისათვის, მამამშევი—თვალის ექიმი.

მ თ შ ა ბ თ ს : ლისიცივი—შინაგანი ავთმყოფ., შიუჩარიანცი—ვენერიული ავთმყოფობისათვის,

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს : შერმიშევი-შინაგან ავთმყოფობისათვის.

პ ა რ ა ს კ ე ვ ს : ლისიცივი და ასატუროვი

იკიდება თბილისში, მართანოვის და ბრიჭუროვის წიგნის მალაზიებში, ბოლოვინის პროსპექტზე, ახნაუროვის თამბაქოს მალაზიაში და ჭუთაისს პლექსო ჭიჭინაძისას:

— შინაგანი ავთმყოფობისათვის და  
 — ხირურგიულიათვის.  
 შ ა ბ ა თ ს : შერმიშევი და მაკაროვი—შინაგანი ავთმყოფ., შიუჩარიანცი—ყურის და ხირურგიულ ავთმყოფობისათვის და მამამშევი—თვალის ავთმყოფობის.

**განსხალებანი**

ჭუთაისში—გალახვანში ისხილება

**სამოსახლო აღბილები** ერთად და ცალკ-ცალკე.

შფრო დაწერილებით შეტყობა შეიძლება ჭუთაისში სვიმონ ივანეს ძეს მესხთან და თფილისში მლისაბედ ს. მარჯანოვთან (პრსენალის ქუჩაზე, № 56), ზამაზოვის სახლები.

**გაკვეთილები**

ზრანსუზულის ენისა. პრაქტიული და თეორიული სწავლა. ზრამატიკა და ლაპარაკი ფრანკუზულს ენზედ.

მსურველს შეუძლიან მიმართოს ჭუთაისში, უფ. ზაქარია ძანდელაქის სადგომში.

**ალგანახი**

შედგენილი ზ. თუმანიშვილისაგან.

შინაარსი: შვიდი ლექსი თ. პლექსანდრე ჭაეკავაძისა.—ჭორუ დანდენი, სამმოქმედებიანი კომედია მოლიერისა. სამი ლექსი თ. მახ. ბირთვ. თუმანიშვილისა. შარშანდელ ქართულ მწერლობის გადათვალეერება.—მკონომიური სურათები.—პატარა წერილი დიდ საქმეებზე.

შასი ყველგან ორი აბაზი.

(3—1)

რკ. გზა.	დილა.	სალამ.	II კ.	III კ.	ბელეგრავი	მ. კაბ	ბირჟა	მან. კაბ	გაყანდა	მან კაბ
თფილისი . . . . .	9 21	5 18			მცი სიტყვა თფილისიდან:		პეტერბურგი, 16 იანვარს.		თფილისი, 18 იანვარს	
მცხეთა . . . . .	10 11	6 27	68	38	ჭუთაისს, შოთს . . . . .	1 —	მართი ჰანეთი ლიხს:		შქვ. თფ. ზანჯისა, ფთ.	215
ზორი . . . . .	11 58	9 43	2 40	1 23	ზორს, დუშეთს, სიღნაღს	50	ლენდონში 23 პუნხი.	78	შქვილი წითელი . . . . .	180
ხაშური . . . . .	1 29	11 57	3 92	2 18	როსტოვს, მდესას, მოსკოვს	2 —	პარიჟში 263 სანტიმი.	62	ჭერი ფუთი . . . . .	145
სურამი . . . . .	1 44		4 42	2 46	პეტერბურგს, პარშავას . . . . .	2 —	მსკონტი(სარგებლისუასი)	71	ბაზა მრეენისა, ფუთი . . . . .	860
შვირილა . . . . .	5 49		5 81	3 23	მსმალეთში, შვეიცარიაში	3 —	ბანკის ბილეთი 5%	95	— ამერიკისა, ფუთი . . . . .	880
რიონი . . . . .	6 47		6 75	3 75	იტალიაში და საფრანკეთში.	3 50	მოგებიანი(პირიგოლისა ხ.)	232 25	მაპენტილი ბაზა ფუთი.	1260
სამტრედია . . . . .	7 41		7 73	4 29	ინგლისში . . . . .	3 75	მოგებიანი (მეორე ხესხი)	229 50	მატული თუშური ფთ.	8 —
ახ.-სენაკი . . . . .	—		8 57	4 76	ფოგბა		ბირაოს ფურცლები:		— მარაქამისა ფთ. . . . .	480
შოთი . . . . .	9 40		9 75	5 42	ა) თფილისიდან: სამზღვარ გარეთ, ჭუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ.		ფილ. სააზნ. ბანკისა.		აბრუჭუმი ნუხური სტ.	190
შოთი . . . . .	9 13				მზურ.—პარასკ. და ორშ. ქაბეთს—სამშ. და შაბ. ბ) ჭუთაისიდან:		ხერსონის ბანკი	83 25	ძონი, ფუთი . . . . .	480
ახ.-სენაკი . . . . .	—		1 18	66	თფილისისა და შოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. მზურგეთს—ორშ. და პარასკ.		მოსკოვის . . . . .	83 50	ჭონის სანთელი ფუთი.	8 —
სამტრედია . . . . .	11 16		2 61	14	წიგბის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:		აქციები:		სტეარინის სანთელი, ფ.	14 —
რიონი . . . . .	12 13		3 41	69	წიგბის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:		მდესის ხავაპრო ბანკის	177 —	ხორცი ძრახისა, ლიტ.	90 —
შვირილა . . . . .	1 18	ლაპე	3 98	2 21	წიგბის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:		შოთი-თფილ. რკინ. გზის	—	— ცხრისა, ლიტრა . . . . .	90 —
სურამი . . . . .	5 12	1 10	5 33	2 96	წიგბის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:		შავი ზღვის ცეცხ. გემბრ.	527 —	სპირტი, გრადუსი . . . . .	15 —
ხაშური . . . . .	5 39	1 37	5 84	3 24	წიგბის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:		ქაეკაზის და შერკულონი . . . . .	225 —	შაქარი, ბროც. ფუთი . . . . .	9 20
ზორი . . . . .	7 5	4 8	3 64	9	წიგბის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:		პირგ. საზღვევ. საზღვ.	745 50	— ფხვნილი ფუთი . . . . .	860
მცხეთა . . . . .	8 50	6 59	9 8	4	წიგბის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:		პეტერბ. საზღვევ. ს.ზ.	235 50	შავი გრგვალი, ფუთი . . . . .	75 —
თფილისი . . . . .	9 31	7 56	9 75	42	წიგბის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:		მოსკოვის საზღვევ. საზ.	268 —	ზეთი ქუნჯუთისა ფუთ.	14 —
					წიგბის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:				მქრო 1/2 იმპერიალი . . . . .	8 20